წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

სხდომის ოქმი N 16

ქ. წალენჯიხა

2022 წლის 4 ნოემბერი

2022 წლის 4 ნოემბერს გაიმართა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია, ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი: ავთანდილ გაბელია, მანანა ჭანია, დავით ბელქანია, ზაზა უბილავა, თენგიზ ფიფია,მაია მიქავა,დათა კუკავა, ბესიკ ფარცვანია, სოლომონ სარია,თემურ ქარდავა, ბაჩანა ქანთარია, რომან კვარაცხელია, ომარ ქარდავა, რაისა ჩანგელია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, მამუკა მიქავა, დათო მესხია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე. სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ივანე ბურდული, მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი გელა სალია, საკრებულოს აპარატის უფროსი-იზოლდა მოლაშხია და საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომა დაიწყო: 12^{00} სთ-ზე

სხდომა დასრულდა: 12^{30} საათზე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სხდომის დღის წესრიგის პროექტი. ღია კენჭისყრით, ერთხმად (მომხრე 21 დეპუტატი (კორნელი სალია, ავთანდილ გაბელია, მანანა ჭანია, დავით ბელქანია, ზაზა უბილავა, თენგიზ ფიფია,მაია მიქავა,დათა კუკავა, ბესიკ ფარცვანია, სოლომონ სარია,თემურ ქარდავა, ბაჩანა ქანთარია, რომან კვარაცხელია, ომარ ქარდავა, რაისა ჩანგელია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, მამუკა მიქავა, დათო მესხია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე), წინააღმდეგი-არცერთი) დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1.ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში დადასტურებული წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე

მომხსენებელი: **გელა სალია,** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი

მოისმინეს: 1. ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში დადასტურებული წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე

საკითხი წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა გელა სალიამ. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ სრულად არაა საგზაო ინფრასტრუქტურა მოწესრიგებული, მოუწესრიგებელია ქალაქის ქუჩები, ადმინისტრაციულ ერთეულში-შიდა საუბნო და სოფლის გზები, მოუგვარებელია სასმელი წყლის პრობლემები, საჭიროა წყლის რესურსის გეგმაზომიერად ხარჯვის მიზნით არსებული ქსელების რეაბილიტაცია,ზოგიერთ უბნებში კი წყლის რესურსის ნაკლებობის გამო საჭიროა ჭაბურღილების მოწყობა. ასევე მოსაწესრიგებელია კულტურული და სპორტული ინფრასტრუქტურა.

საკითხის განხილვა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაიმართა.

საკრებულოს წევრმა დავით ბელქანიამ მომხსენებელს მიმართა კითხვით: სულ რა თანხა სჭირდება წარმოდგენილი პროექტების დაფინანსებას, რა თანხას ველოდებით მომავალ წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და მიმდინარე წელს შესასრულებელი სამუშაოებიდან რამდენი პროცენტი არის ათვისებული? რაზეც მომხსენებელმა უპასუხა, რომ სულ წარმოდგენილი პროექტების ჯამმა შეადგინა დაახლოებით 14 მილიონი ლარი, ხოლო რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მოსალოდნელია 4 მილიონი ლარის გამოყოფა, რაც შეეხება მიმდინარე წელს-დღეის მდგომარეობით, ათვისებულია დაახლოებით 35%, თუმცა წლის ბოლომდე მაჩვენებელი, სავარაუდოდ, მოიმატებს.

საკრებულოს წევრმა ბესიკ ფარცვანიამ, ვინაიდან პროცედურულად, განსახილველი საკითხი დროში არ არის შეზღუდული, საკითხის ასე სასწრაფოდ და შეუსწავლელად საკრებულოს სხდომაზე გატანა მიზანშეუწონილად მიიჩნია. მან აღნიშნა, რომ რეალური საკასო შესრულების შემდგომ უფრო გამართლებული იქნებოდა პროექტების მოწონება. საკითხი უნდა შესწავლილ იქნეს სიღრმისეულად, რეალობაში უნდა განისაზღვროს რომელი პროექტის გაკეთებაა შესაძლებელი და შემდეგ უნდა დალაგდეს გამოყოფილი თანხის მიხედვით პრიორიტეტები.

მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ მომავალი წლისთვის დაახლოებით 4 მილიონი ლარის თანხის გამოყოფაა მოსალოდნელი, საიდანაც გარდამავალი პროექტები-დაახლოებით 2 მილიონს შეადგენს. ამასთან, რაც მეტი პროექტი იქნება მოწონებული მით მეტი იქნება არჩევანის შესაძლებლობა და ამ პროექტებიდან ყველაზე პრიორიტეტულის შერჩევა. მერის პირველმა მოადგილემ აღნიშნა, რომ საკრებულოში წარმოდგენილ პროექტებს უნდა დაემატოს, ქ.წალენჯიხა სალიას ქუჩაზე მდებარე სპორტკომპლექსის რეაბილიტაცია (დაახლოებით 180 000 ლარი), ქ.წალენჯიხა მაიაკოვსკის ქუჩაზე ჩოგბურთის კორტების მოწყობა (დაახლოებით 191 000 ლარი), ქ.წალენჯიხა ჭანისწყლის სანაპიროზე მდებარე ევროპული სკვერის რეაბილიტაცია, ასევე ძალიან კარგია ახალგაზრდული ცენტრის მშენებლობის იდეა.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ, განკარგულების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 20 დეპუტატი (კორნელი სალია, ავთანდილ გაბელია, მანანა ჭანია, ზაზა უბილავა, თენგიზ ფიფია,მაია მიქავა,დათა კუკავა, ბესიკ ფარცვანია, სოლომონ სარია,თემურ ქარდავა, ბაჩანა ქანთარია, რომან კვარაცხელია, ომარ ქარდავა, რაისა ჩანგელია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, მამუკა მიქავა, დათო მესხია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე), წინააღმდეგი-ერთი (დავით ბელქანია)) მიღებულ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში დადასტურებული წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე განკარგულება N49, წამოყენებულ წინადადებებთან ერთად.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე კორნელი სალია